პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკური კადრებისათვის

22 ოქტომბერი 1938 წ. № 21 (137)

სამ. კ. პ. (ბ) თბ. სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის პარტკომის, რექტორატისა და პროფკომის ორგანო

9332

წარმატებით ჩავატაროთ

თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტმა ფართოდ გაშალა მოსამზადებელი მუშაობა ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის. კომიტეტმა გამოჰყო რამოდენიმე ამხანაგი და მიამაგრა ისინი ცალკეულ ფაკულტეტებს პირველადი ორგანიზაციების ანგარიშგებისა და არჩევნების ხელმძღვანელობისათვის. ფაკულტეტებსა და ჯგუფებს შორის დამუშავდა და ვრცლად იქნა განმარტებული საკ. ალკკ-ს ცენტრალური კომიტეტის დადგენილება და ინსტრუქცია ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ. დიდი ყურადღება მიექცა კომკავშირული მეურნეობის წესრიგში მოყვანას და სხვ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტს თავისი მუშაობის ანგარიში უნდა ჩაებარებია კომკავშირული კრებებისათვის, მაგრამ იმის გამო, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში საკმაოდ დიდია კომკავშირელთა რიცხვი საკ. ალკკ-ს ცენტრალურმა კომიტეტმა ნება დართო მოწვეულ იქნას საუნივერსიტეტო კონფერენცია, სადაც მოსმენილ იქნება უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის ანგარიში. კონფერენცია ჩატარდება 2—3 ნოემბერს.

უკვე დაწყო კონფერენციის დელეგატების არჩევა. მაგრამ არჩევნების პირველმა დღემ გვიჩვენა, რომ ზოგი ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაცია არჩევნებს მთელი სერიოზულობით არ მოეპყრა. ისტორიის ფაკულტეტზე 17 ოქტომბერს მოწვეული კომკავშირული კრება, სადაც დელეგატების არჩევა ხდებოდა, გაუქმებულ იქნა, რადგან სიაში გამორჩათ დასახელებული კანდიდატები.

არჩევნები გრძელდება. კომკავშირის სახ. უნივერსიტეტის კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს არჩევნების ორგანიზებულად და სწორად ჩატარება.

უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციისა და თვითეული კომკავშირელის ამოცანაა არჩევნები ჩატარდეს კომკავშირული სიფხიზლის შემდგომი ამაღლებისა და კომკავშირული ორგანოების მუშაობის ყოველმხრივი განმტკიცების ნიშნით.

„არჩევნები უნდა ჩატარდეს კომკავშირელების სიფხიზლის შემდგომი ამაღლების, ახალგაზრდობას შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების, კომკავშირულ მეურნეობაში სანიმუშო წესრიგის დამყარებისა და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ყოველმხრივ განმტკიცების ნიშნით“ საკ. ალკკ. ცენტრალური კომიტეტის ეს მითითება მტკიცედ უნდა გვახსოვდეს არჩევნების დროს.

ფართოდ გავშალოთ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა. ხელმძღვანელ კომკავშირულ ორგანოებში ავირჩიოთ ხალხის მტრებთან ბრძოლაში სავსებით შემოწმებული, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმისადმი თავდადებული და ბოლომდე ერთგული მუშაკები.

თბილისის სტალინის სახელობის სახუნივერსიტეტში წარმატებით მიმდინარეობს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის წინასწარი გაცნობა. სურათზე: პროპაგანდისტი პ. ახალაძე ესაუბრება პოლიტსკოლის მსმენელებს ისტორიის მოკლე კურსის შესახებ.

ფოტო ი. ფურცელაძისა.

თათბირი პარტიაში ახალმიღებულებთან

თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის პარტიულმა კომიტეტმა 13 ოქტომბერს მოიწვია პარტიაში ახალმიღებულთა თათბირი, რომელსაც 15 ამხანაგი დაესწრო.

პარტიის წევრობის კანდიდატებს ამხ. **ნ. დევიძე** ესაუბრა მათი მუშაობის ფრიად მნიშვნელოვან საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ პარტიის წევრობის ყველა კანდიდატი აქტიურად უნდა ჩაებას პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში. თითეულ კანდიდატს უნდა ჰქონდეს პარტიული დავალება იმის მიხედვით, თუ როგორია მისი პოლიტიკური მომზადება და მუშაობის უნარი. საჭიროა პარტწევრობის კანდიდატებისადმი ინდივიდუალური მიდგომა დავალების მიცემის დროს.

კანდიდატები უნდა ჩავაბათ პარტიულ პოლიტწრეებში, უზრუნველვყოთ ისინი კვალიფიციური პროპაგანდისტებით და ყოველმხრივ დავეხმაროთ ჩვენი გმირული კომუნისტური პარტიის ისტორიის ღრმად შესწავლაში.

ამხ. ნ. დევიძემ, თავის მოკლე საუბარში, პარტწევრობის კანდიდატების ყურადღება მიაქცია პარტიული დოკუმენტების წესიერი მოვლისა და შენახვის საკითხს. მათი ყურადღება გაამახვილა აგრეთვე პარტორგანიზაციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღებისა და დისციპლინის დაცვის საკითხზე. სასურველია ასეთი თათბირების ხშირად მოწვევა და საუბრების ჩატარება.

ი. ჩ.

ალმოვფხვრათ უპასუხისმგებლობა ისტორიის სწავლების საქმეში

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის გაცნობისა და წინასწარ შესწავლის საქმეს სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიულმა ორგანიზაციამ სერიოზულად მოკიდა ხელი. პოლიტწრეებსა და ცალკეულ ჯგუფებში სწარმოებს კითხვა და წინასწარი გაცნობა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსისა.

ამ მუშაობას დეფექტებიც ახლავს ასე მაგ.: ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტორგანიზაცია (პარტორგი ნ. ბახტაძე) ამ საქმეს მთელი სერიოზულობით ვერ მოეპყრო.

სუსტადაა დაყენებული საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლა კომკავშირულ პოლიტწრეებში. წრეების მეცადინეობა არანორმალურ პირობებში სწარმოებს, ზოგიერთ წრეს არ აქვთ აუდიტორია, საკმაო სკამები და სხვა. მაგ.: № 79 წრის მსმენელები სკამების უქონლობის გამო 2 საათი ფეხზე იდგნენ. არიან კომკავშირელები რომლებიც სისტემატურად აცდენენ მეცადინეობას. მაგ.: ბ. ბოგდანოვს გაცდენილი აქვს 4 მეცადინეობა, ა. დოლიძეს 2, ჩინჩალაძეს 2 და სხვა.

საჭიროა ამ დეფექტების აღმოფხვრას სერიოზული ყურადღება მიაქციოს უნივერსიტეტის პარტიულმა კომიტეტმა.

ბ.

სურათზე: ჩეხოსლოვაკიის რუკა. შტრიხით აღნიშნული ადგილები წარმოადგენენ იმ რაიონებს, რომლებიც გერმანიამ დაიკავა მიუნხენის შეთანხმებით. შავით აღნიშნულია ის რაიონები, სადაც მიუნხენის შეთანხმების ძალით უნდა ჩატარდეს პლებისციტი.

12 ოქტომბერს პიესა „პირისპირით“ გაიხსნა სახუნივერსიტეტის სტუდენტთა თეატრის სეზონი. სურათზე: კ. უგულავა გურევიჩის როლში.

რატომ აცდენენ?

გეოგრაფ-გეოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირული პოლიტსკოლის ზოგი მსმენელი უპასუხისმგებლობას იჩენს და მეცადინეობას არ ესწრება.

ჯ. კუტუბიძეს 3 გაცდენა აქვს, ლ. ჯუჯუას 4 და სხვა.

სტუდენტ გ. აბულაძეს პოლიტსკოლის მსმენელს ვერ ვუწოდებთ, რადგან იგი ერთჯერაც არ დასწრებია მეცადინეობას.

დ. უკლება

ჭადრაკი დაივიწყეს

გასულ წელს უნივერსიტეტში არსებობდა ჭადრაკის წრე, რომელმაც საკმაო წარმატებას მიაღწია საქალაქო გუნდურ შეჯიბრებაში (პირველი ადგილი).

წრისათვის გამოყოფილი იყო სპეციალური ბინა. წელს იგი სხვა დანიშნულებისათვის გამოიყენეს, ჭადრაკის კომპლექტები დაკარგეს, წრე ახლა უბინაოდ დარჩა და უყურადღებოდაა მიტოვებული.

ფეხბურთი

ქუთაისი — სახუნივერსიტეტი

12 ოქტომბერს სახუნივერსიტეტის ფეხბურთელებმა საქართველოს პირველობაზე მორიგი მატჩი ჩაატარეს ქუთაისში ადგილობრივ „დინამოსთან“.

მიუხედავათ ცუდი ამინდისა შეჯიბრებამ მრავალი მაყურებელი მიიზიდა.

ატალახებულმა სტადიონმა ხელი შეუშალა ორივე გუნდს თამაშის მაღალი კლასის გამომჟღავნებაში. თამაშის დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ინიციატივას სტუდენტები იღებენ. ისინი გაძლიერებულ შეტევას აწარმობენ დინამოელთა კარისაკენ. 25 წუთზე იხსნება ანგარიში — სტუდენტებს გააქვთ პირველი ბურთი, ხოლო ტაიმის ბოლომდე კიდევ 1 ბურთით ზრდიან ანგარიშს.

მეორე ტაიმში ქუთაისელთა უპირატესობა შესამჩნევია. ისინი დრო გამოშვებით კრიტიკულ მომენტებს ქმნიან სტუდენტთა კართან, მაგრამ მეკარე ჯიბლაძე მშვენივრად იგერიებს მათ „მკვდარ“ ბურთებს.

კვლავ ძლიერდება სტუდენტთა იერიში და 2 ბურთი ზედიზედ გაჰყავთ დინამოელთა კარში. თამაშის ბოლო წუთებში სტუდენტებმა ტემპი მოადუნეს. ამით ისარგებლეს „დინამოს“ თავდამსხმელებმა და მშრალ ანგარიშს დაიღწიეს თავი. მატჩი დამთავრდა 4 :2, სახ. უნივერსიტეტის გუნდის სასარგებლოთ.

ზესტაფონი — სახუნივერსიტეტი

18 ოქტომბერს ზესტაფონში ჩატარდა თბილისის სახუნივერსიტეტისა და ადგილობრივი „მეტალურგის“ ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრი საქართველოს პირველობაზე.

მწვავე და საინტერესო ბრძოლის შემდეგ მატჩი დამთავრდა სტუდენტთა გუნდის სასარგებლოდ, ანგარიშით 2 : 0.

უნივერსიტეტის ფეხბურთის გუნდს 6 შესაძლებელიდან შეგროვილი აქვს 4 ქულა.

ჩვენ გვწერენ

პიტოევმა გვიპასუხოს

ასპირანტურაში შესასვლელი გამოცდები 8 ოქტომბერს უნდა დაწყებულიყო. პირველ დღეს საღამოს 6 საათისათვის იყო დანიშნული გამოცდა გერმანულ ენაში, მაგრამ რატომღაც ჩაიშალა.

ასპირანტურის ხელმძღვანელმა პიტოევმა გვიპასუხოს რისთვის ჩაიშალა გამოცდები პირველ დღეს.

ს. თურნავა.

ასე არ ვარგა

ფილოლოგიის ფაკულტეტის 194 და 194-ა ჯგუფს (ქართული სექცია) ფრანგული ენის ლექციათ ერთად ეკითხებათ. პატარა აუდიტორია ბევრ სტუდენტს ვერ იტევს, რაც სწავლის ხარისხზე ცუდათ მოქმედობს.

დეკანატს თუ სურს ფრანგული ენა სერიოზულად შეასწავლოს სტუდენტებს, აღნიშნული ჯგუფებისათვის ლექცია მაშინ ცალცალკე უნდა დანიშნოს.

ირ. ვეშაპიძე.
კ. ფალავა

ხათრიანი მორიგეები

წესრიგის დაცვისათვის უნივერსიტეტში მორიგეებია გამოყოფილი. მათ ევალებათ ლექციების მიმდინარეობის დროს დაიცვან სიწყნარე, არავის მისცენ მე-2-3 სართულზე ასვლის ნება. სინამდვილეში მორიგეები ფორმალურად დგანან ვესტიბულზე და გამვლელ-გამოვლელის ვინაობის რკვევის მეტს არაფერს აკეთებენ.

რაღა საჭიროა მორიგეები თუ დერეფნებში ისევ დაუსრულებელი სიარული იქნება?

კ. — აძე

კომკავშირული ცხოვრება

ხელმძღვანელობა კომკავშირში ახალმიღებულებს

კომკავშირში ახალმიღებულთა შორის მუშაობის გაძლიერებისა და დახმარების საქმეში უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტმა **(დ. მაისაძე)** ბევრი რამ გააკეთა.

დღემდე კომკავშირში ახალმიღებულებს არავითარი დავალება არ ქონდათ. კომკავშირის კომიტეტის მითითების საფუძველზე, ცალკეული ფაკულტეტების კომკავშირის ბიუროებმა საგრძნობი გარდატეხა მოახდინეს ამ საქმეში. მაგ.: ფილოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციაში 1938 წელში მიღებული იქნა 150 კავშირგარეშე ახალგაზრდა. მათგან — კომკავშირული დავალება მხოლოდ 15 კაცს ჰქონდა. ყოველივე ეს გამოწვეული იყო ჯგუფის კომორგებისა და ფაკულტეტის ბიუროს სუსტი მუშაობით.

ამჟამად ფილოლოგიის ფაკულტეტზე კომკავშირში ახალმიღებულთა რიცხვი არის **255.** აქედან კომკავშირული დავალება აქვს 125 კაცს. ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროს მიერ მოწვეული იქნა კომკავშირში ახალმიღებულთა შეკრება, სადაც დამუშავდა საკ. ალკა მე-6 პლენუმის შედეგები.

ფაკულტეტის პირველი კურსის ყველა ჯგუფში (სულ 15) ჩატარებულია კომორგების არჩევნები. მთელ რიგ ჯგუფებში კომორგებათ არჩეულ იქნენ ახალმიღებულები, რომლებიც სანიმუშოდ მუშაობენ (მაგ. ზანდა ჯაფარიძე, ირაკლი თამაზაშვილი და სხვ.) ახალმიღებულები გამოყენებული არიან აგიტატორებად ჯგუფებში და უბნებში. მაგ.: ნათელა კორძაია, შალვა მაჭავარიანი, ქეთო ჩირაძე, ვ. გაბელაია, ვ. იმნაძე, ტრ. სამხარაძე და სხვები, რომელთაც სააგიტაციო მუშაობა სანიმუშოდ აქვთ დაყენებული.

ფილოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციას ნაკლოვანებანიც აქვს. ფაკულტეტზე კავშირგარეშე სტუდენტი 400 მეტია. მათ სურთ კომკავშირში შესვლა, მაგრამ მასობრივი მუშაობა ამ ამხანაგებთან სუსტია. არ არსებობს კომკავშირის პროგრამისა და წესდების შემსწავლელი წრეები, რაც ხელს უშლის კომკავშირის ორგანიზაციის ზრდის საქმეს.

საჭიროა ეს დეფექტები დაჩქარებით გამოვასწოროთ.

იპ. ცანავა
ს. ჯალაგანიძე.

ყურადღება აგიტაციას

ზოგი ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაცია სააგიტაციო მუშაობას ჯერ კიდევ არ აქცევს სერიოზულ ყურადღებას.

ფილოლოგიის ფაკულტეტის 192-ბ ჯგუფში კომკავშირის ხაზით მომუშავე აგიტატორი დღემდე არაა გამოყოფილი. ამავე ფაკულტეტის 19 ჯგუფში აგიტაცია მხოლოდ ერთხელ ჩატარდა. ისტორიის ფაკ. 1 კურსის ჯგუფებში 5 ოქტომბრამდე აგიტატორები არ ყოფილან გამოყოფილი.

გეოგრაფ-გეოლოგიის ფაკულტეტის 1-კურსის 7 ჯგუფში სააგიტაციო მუშაობა მთლიანად ჩაშლილია. აგიტატორი ნ. ბუგიანაშვილი აცხადებს „მე არ ვიცი რა მასალა უნდა დავამუშაო“. ქიმიის ფაკულტეტის 1 კურსის 5 და 6 ჯგუფებში კი აგიტატორები ჯერაც არ შეურჩევიათ.

არც აგიტაციის ხარისხს ექცევა საჭირო ყურადღება. ხშირად აგიტატორები გაზეთის უბრალო წაკითხვით კმაყოფილდებიან და საკითხის დეტალურ განმარტებას გვერდს უხვევენ.

კომკავშირის ორგანიზაციამ უნდა იბრძოლოს აგიტაციის არა მარტო ჩატარებაზე, არამედ მის მაღალ ხარისხზედაც.

ალ. მენთეშაშვილი

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ

„უცხო“ სიტყვათა ლექსიკონი

ურთიერთ დამხმარე სალარო — სალარო, რომელიც თითონ ხაჭიროებს დახმარებას.

ჯილდო — შეუსრულებელი დაპირება.

აკადემიური საათი — რომელშიაც მორიგის ხასიათის შესაბამისად ხან 45 წუთია, ხან 50.

რვეული — მეტეორი უნივერსიტეტის კიოსკში.

რეკლამა — (უნივერსიტეტის კლუბის მხატვრების „შედევრი“) ქართულიდან ქართულად სათარგმნი „შრომა“.

ე. — კ.

ბიბლიოგრაფია

კ. კაპანელი — „მეტყველებისა და ლიტერატურის პრობლემები“

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოუშვა კონსტანტინე **კაპანელის** ახალი წიგნი — „მეტყველებისა და ლიტერატურის პრობლემები“. კ. კაპანელმა გარდა ცალკეული ნარკვევებისა ესთეტიკისა და მხატვრული კრიტიკის დარგში, წელს გამოსცა ორი საყურადღებო შრომა ერთი ზემოხსენებული წიგნი, რომელიც იხილავს მეტყველებისა და ლიტერატურის თეორიულ საკითხებს, მეორე — „მუსიკის ისტორიიდან“.

კაპანელის ეს სარეცენზიო შრომა დიდ დახმარებას გაუწევს ახალგაზრდობას ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხების გარკვევაში.

წიგნი ეხება მეტყველების სპეციფიკას, მხატვრული მეტყველების ძირითად თვისებებს, ისტორიისა და ლიტერატურის ურთიერთობას, ლიტერატურის რაობას, ლიტერატურული ჟანრების დახასიათებას და სხვ. წიგნში გამოთქმულია ორიგინალური და გაბედული აზრები ლიტერატურის ბუნების შესახებ, მეტყველების წარმოშობისა და სიტყვის აზრთან დამოკიდებულების შესახებ. წიგნი დაწერილია ლამაზი, მხატვრული ენით და ხალისით იკითხება.

წიგნში ვრცლად არის წარმოდგენილი ქართული მხატვრული მეტყველების ანალიზი, როგორც საშუალო საუკუნეების პერიოდისა, ისე მეცხრამეტე საუკუნისა; კარგი იქნებოდა, რომ ავტორი უფრო ვრცლად შეჩერებულიყო **რუსთაველის** მხატვრულ მეტყველებაზე, მის თავისებურებაზე.

წიგნი სუფთადაა დაბეჭდილი და ღირს 6 მანეთი. შეიძლებოდა მისი უფრო მხატვრულად გაფორმება.

ლეონტი შონია

გამოხმაურება

ჩვენი გაზეთის 30 სექტემბრის ნომერში მოთავსებული იყო შამხილებელი წერილი, რომელიც შეეხებოდა იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტების ალბერტაშვილისა და თაგნიაშვილის უდისციპლინო მოქმედებას.

იურიდიული ფაკულტეტის დეკანატი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა და ალბერტაშვილს და თაგნიაშვილს მიეცათ მითითება.

პ.-მგ. რედაქტორი
სარედაქციო კოლეგია.

თბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-ლითოგრაფია, მარის ქ. № 1. მთავლიტის რწმ. 2191 ტირაჟი 4.000